


სიანგუი


განმცემის 47-ე წელი ფასი 20 კპვ.

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი




ბ. 70

— დღეს განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართება! სოფი იცით, 8 მარტია და მამაკაცები დიანასლინობან.




ლოთავი, ნუშავი თქვენს!



ნ.ხ. ვ. ლოლუასი

— ნახე? უკვე მესამე მარანს აშენებენ თბილისში, თქვენ კი ჭურში ზიხართ, ერთი სოლა ვერ დაგიმთავრებიათ!



— რას შვრები, ვადავას, კაცო?!
— რა ვქნა, ნაბრკანები, ვადავასი კიდე, მანა სკაპინიკო უნდა ავაშენოთ.

ამა წლის 13 იანვარი კურორტ გაგრისათვის ნამდვილ ზეიმად იქცა (ვინა თქვა, 13 რიცხვი თარსიაო?) აქ, სასულე ორკესტრის მუსიკის ქვეშ, გაიხსნა გამოსათხიზლებელი. ამ დღეს მრავალი მისალოცი დეპეშა მიიღეს თბილისის, სოხუმისა და სხვა ქალაქების გამოსათხიზლებლებიდან. ითქვა ბევრი გულისამაჩუყებელი სიტყვა.

გამოსათხიზლებლის უფროსი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი კარაპეტ კარაკოზიანი და მისი თანამშრომლები მოუთმენლად ელოდნენ იმ მოქალაქეს, რომელიც პირველი მოიპოვებდა საპატიო უფლებას, გაეჭრა ლენტი. დრო გადიოდა, გამოსათხიზლებლის თანამშრომლები დარაზმულები იდგნენ საპატიო ყარაულში. 4 საათი. არაფერ ჩანს. 5 ს. არაფერ ჩანს. 6, 7, 8, და, აი... იგრილა ტაშმა. ეს იყო იგორ სივუშოვი. დიახ, დიახ, იგორ ივანეს ძე! იგორი გაგრის გამწვანების სექტორში მუშაობს, ხელფასი 120 მანეთი აქვს და არცის სმის დიდი მოყვარულია. სწორედ მან, გაგრის მკვიდრმა, გაჭრა გამოსათხიზლებლის ლენტი (უნდა ითქვას, რომ მას გამოსათხიზლებლის თანამშრომლებიც დაეხმარნენ: ორი კაცი ამოუღდა აქეთ-იქით და ერთმაც მაკრატლიანი ხელი მიატანინა ლენტამდე).

გამოსათხიზლებლის თანამშრომლების — ზაკამბეი გრიგოლისა და ხარიტონ ხალვაშის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ იგორ ივანეს ძე პირდაპირ „აღმოაჩინეს“. იგი უოეკვარის ტერიტორიის ამწვანებულ გაზონებში თავისი მწვანე პალტოთი იყო ჩაწოლილი (იქნებ, ეს პროფესიული სიყვარულიცაა, იგორი სიმ გამწვანების სექტორში მუშაობს).

როგორც იტყვიან, მთელი დატვირთვით მუშაობს გაგრის გამოსათხიზლებელი, მაგრამ ჩვენ ყველა მის ბინადარს ვერ ჩამოვყვლით, ვიტყვით მხოლოდ ზოგიერთზე: აი, თუნდაც ვალენტინა არტიმოვა. იგი სასტუმრო „გაგრაპის“ თანამშრომელია. მასზე მეტად აღმგზნებლად მოქმედებს ალკოჰოლი. როდესაც იგი გამოსათხიზლებელში მიიყვანეს, სცადეს ტბილი სიტყვით დაემშვიდებინათ.

— მოისვენეთ, გამოფხიზლდით და მერე წაბრძანდით!
— თქვენი საქმე არ არის! მინდა მოვისვენებ, მინდა ვისეირნებ, მინდა ვიძუშავებ!

— ვაი, მასეთ მუშაობას!
— ვაი, მაშ ასეთ მუშაობასაც, როგორც ეს მუშაობს, — მიათითა უკვე დასაბმელმა ვალენტინამ ტელეფონზე და ისე მძლავრად მიახეთქა კედელს აპარატი, რომ იგი ნაფშვენებად იქცა.

რაიმეწვკომბინატის ელექტრომონტიორმა — ვლადიმერ თოფურაძემ, რომელიც უგონო მდგომარეობაში მოიყვანეს გამოსათხიზლებელში, მხოლოდ მაშინ გაახილა თვალები, როდესაც შხაპის ქვეშ მოხვდა: „მაჩალკა“ და საპონი თუ გაქვთო, იკითხა ვლადიმერმა, შემდეგ კი ისევ დასვა კითხვა, აბანოში ვინ მომიყვანაო?

აფსუსი არ არის, გეორჯა ვვარად მუნჯიანი იყოს? სწორედ რომ თავისი ენის წყალობით მოხვდა მუნჯიანი გამოსათხიზლებელში. გადაჭრა გეორჯამ ჭერ ერთი, მერე ორი, მერე ათი და ისეთი ორატორული ნიჭი გამოამყვანა თავის მეუღლესთან, რომ თუ გამოსათხიზლებელი არა, ალბათ, მისი ლანძღვა-ვინება დილამდე გასტანდა.

გამოსათხიზლებელში საპატიო წიგნი შემოიღეს მათთვის, ვინც მეორედ მოხვდებოდა იქ და, აი:

— ეს ხომ იგორია, ჩვენი იგორ ივანეს ძე სივუშოვი! — ამოიცნეს მწვანე პალტოში პირველი კლიენტი და ლენტის გამჭრელი. დიახ, ეს მართლაც იგორი იყო, რომელიც გაგრის პარკის გაზონებში გორაობდა ცნობადაკარგული, იგორ ივანეს ძე სივუშოვის ვვარი ოქროს ასოებით შევიდა გამოსათხიზლებლის საპატიო წიგნში.

30 იანვარს ისევ საზეიმოდ გამოიყურებოდა გაგრის გამოსათხიზლებელი, ისევ იდგა საპატიო ყარაული თაიგულებით ხელში, ელოდნენ მესამე კლიენტს და, აი, ისიც: იგრილა ტაშმა. რიგით მესამე კლიენტი აღმოჩნდა გაგრის დამსვენებელი ნინა კოსტრიცკაია. ქალბატონ ნინას მოემსახურნენ უმაღლეს დონეზე: არ დაიშურეს არც შხაპი და არც სხვა გამოსათხიზლებელი საშუალებები.

გაგრის გამოსათხიზლებელი განაგრძობს მუშაობას!

Perpetuum mobile

გელეფონით ვილაცამ ვი-
 ლაცას დაურეკა.
 გამოსაცემად მიიღეს წი-
 გნი — „მ დ ი ნ ა რ ი ს პ ი -
 რ ა ს“.
 ააწყვეს.
 ჩაასწორეს.
 შეკრეს.
 მოიგანეს ქალაქი —
 № 1.
 დაბეჭდეს.
 აკინძეს.
 ყდაში ჩასვეს.
 გამოიცა მასობრივი გი-
 რაჟით.
 გაიგანეს გასაყიდად.
 დაიბეჭდა რეცენზიები.
 ცაში აიყვანეს ავგორი.
 მისცეს ჰონორარი.
 დააფასეს წიგნის გამო-
 ცემა.
 გავიდა წელიწადი.
 არ გავიდა წიგნი.
 გავიდა მეორე წელიწა-
 დი.
 ჩაწვა წიგნი.
 გაყვითლდა ფურცლები.
 გაწითლდა ავგორი.
 გაღურჯდა გამყიდველი.
 გაშავდა რედაქტორი.
 გალანძღეს გამომცემე-
 ლი.
 ჩამოაფასეს გამომცემუ-
 ლი.
 ავგორი იუბილეს იხდი-
 და...
 გავიდა დრო.
 მაინც არ გავიდა წიგნი.
 მოიყვანეს ჯანიანი ბი-
 ჭები.
 იმათ ცალკე მისცეს ფუ-
 ლი.
 წიგნები ჩამოაწყვეს.
 ჩამოყარეს.
 აქტი შეადგინეს.
 ავგორს შეაგინეს.

დაშალეს.
 დახიეს.
 დაფხრიწყეს.
 ყდები დააგლიჯეს.
 (კაცს გული მოუკვდებო-
 ბოდა).
 მთელი გირაჟი გააგზა-
 ვნეს მაკულატურაში.
 გაამზადეს დიდი ქვაბი
 — № 8.
 ჩაყარეს შიგ წიგნი.
 ავგორი არ ჩაუგდიათ.
 შეუნთეს ჯოჯოხეთური
 ცეცხლი.
 მოიშველიეს დიდი ქი-
 მია.
 გადახარშეს ფურცლები.
 გაუშვეს ბადის მაგიდა-
 წე.
 სველი მასა დაწურეს.
 (რა გააშრობდა წყალს?)
 პირველი პრესი.
 მეორე პრესი.
 შეუშვეს საშრობ კარა-
 დაში.
 გააშრეს.
 დაახვიეს.
 ფორმაგებად დაჭრეს.
 მისცეს აგვსაცხია.
 შეფუთეს.
 უზარმაზარ რულონებად
 წაიღეს ბაზაში.
 იქიდან — გამომცემლო-
 ბაში.
 მერე ვილაცამ ვილაცას
 დაურეკა.
 და მეორე წელიწადს
 გამოიცა იგივე წიგნი —
 „მ დ ი ნ ა რ ი ს პ ი რ ა ს“, უფრო
 დიდი გირაჟით...
 პირველი პრემია არავის
 მიენიჭა.

ქართლოს კასრაქა



ნ.ბ. ვ. ვუმბაურიძისა

— ნახე, რა კულტურული მომსახურებაა: ყველას ღიმილი აკმრთა
 პირზე!
 — წონაში მოგატყუებს, ზოგაში მოგატყუებს, ხურდაში მოგატყუებს და
 რატომ არ გაიცინებენ?!

ახალი იგავები

ყოველისუბილე და მართალმა დათვმა ნამუსგარეცხილი ტუ-
 რა თავისთან დაიბარა, დღის ბოლოს მიიღო და უთხრა: ამხანაგო
 ტურა! თქვენ ხულიგანი და გათახსირებული ხართ ამის, ამის, და ამის
 გამო. ნამდვილად, ნამდვილად, ბატონო დათვო, მაგრამ შეილებს
 პატრონი ვარ და მაპატიე, მე ჩემი გათახსირებაც მეყოფათ. თვალბ-
 თან ანთებული პაპიროსი მიიტანა და ბოლით თვალი აიცრემლა.
 ატირდა ტურა. ტიროდნენ მარმარილოს კედლებიც ტურის ცოდვით.
 დათვმა ტურა შეიწყნარა და უთხრა: გასწი და სხვა დროს აღარ ჩა-
 მივარდე ხელშიო.

ტურამ მადლობა გადაუხადა და ფეხზე აკოცა დათვს. კაბინე-
 ტიდან გამოსვლისას პირველი კარი ფრთხილად გამოხურა, ხოლო
 მეორე ოდნავ მოიჭახუნა, უტიფრად შეიგინა და გზას გაუდგა. მო-
 საცდელში ერთმა თქვა: ვენაცვალე ყბაში, ვაჟკაციაო.

მეორე დღეს ხმა დაიბნა, ტურამ დაათვა სულ დედის სული აგი-
 ნა, მგონი, ხელითაც შეეხოო.

მორალისკით: უფრო ხშირად, მთავარია, რას აკეთებ ხალხის
 დასახარად. ჩუმად, თუ გინდა, მუცელზე იხობე!

* * *

თვალეზგადმოქაჩული მწვანე ჭაობის მწვანე ბაყაყი ნადირ-
 თა მეფეს ფანჯრიდან შეუხტა და შესჩივლა: ერლომ ლომეროვიჩი,
 აუ არჩვი სალ კლდეებს ამშვენებს, ეშვებიანი ტახტი კი წიფლისა და
 მუხის გაუვალ ტყეებს, მე, ეს ყველაზე დაუღალავი მოღვაწე, ამ და-
 მდგარ და აქოთებულ წუმბეში რად უნდა ვყიყინებდე დღე და ღა-
 მეო?

არჩვი სალ კლდეებს უნდა ამშვენებდესო, ეშვებიანი ტახტი —
 წიფლისა და მუხის გაუვალ ტყეებს, შენ კი, თვალეზგადმოქაჩულო
 და გაბღენძილო ბაყაყო, შენი საქმე ჭაობია და ჭაობში უნდა იყოო,
 უპასუხა ნადირთა მეფემ...
რაზე მოგახსენებ?

ზოგიერთი გაცვეთილი და გაქნილი კაცი დიდს მოითხოვს მცი-
 რეს შესანარჩუნებლად, როცა იმ მცირეს ღირსიც არ არის!

* * *

ენციკლოპედიაში, რა თქმა უნდა, ანბანის მიხედვით, ჯერ
 აფთარი შეიყვანეს, შემდეგ — აქლემი, ხოლო შემდეგ — ბულბული.
 აფთარის სურათთან წერია, მტაცებელი და საშიში ცხოველიაო. აქ-
 ლემის სურათთან წერია, უდაბნოში ცხოვრობს, კუზიანია და მაგრად
 დაც იფურთხებაო.

ბულბულის სურათთან წერია, უბადლო მომღერალია და ტყვე-
 ობას ვერ იტანსო.

აქლემმა და აფთარმა კითხვა არ იცოდნენ და ენციკლოპედიაში
 დაბეჭდილი ბულბულის სურათი რომ დაინახეს, ერთმანდ წამოიძა-
 ხეს; ამას აქ რა უნდაო?!

მინაწერი: ვინც ენციკლოპედიაში შევა, სავალდებულოა, იცო-
 დეს კითხვაც და წერაც.

* * *

უსახელო, ჭრელი მცოცავი მეფესთან ჭუჭრუტანიდან შეძვრა
 და ყურში ჩაუსისინა: ერლომ ლომერიჩი, ცხენი ჭიხვინებს, ბულბული
 გალობს, ხარი კი ბუბუნებსო.

— რაც შეეხება გველს, იგი გესლიანია და სისინებს, — გააწყ-
 ვეტინა ნადირთა მეფემ და თავი გაუჭეჭყა უსახელო მცოცავს.


მინაწერი: ბრძენის სახელმწიფოში იუდას არ ახარებენ და
 თავს უჭეჭყავენ.

გამუჟა გელოვანი.

ნ.ბ. დ. ზარაფიშვილისა



— ორი ლანგები, ყაპრმა, მწვადი, ხაშლამა,
 ანტრიპოტი!..
 — კურს არ მიირთმევთ, ბატონო?
 — კურს არ ვჭამ, მასუბებს!



— ხომ გთხოვთ, ელვა დეკავა გამომცემლობა-მითი?
— ჰოდა, ელვას ველოდებით, ახსანაგო!



მოტაცება

მე გაგიჟებთ მიყვარდა ის, მაგრამ მას არ ვუყვარდი. ბოლოს მისი მოტაცება გადაწყვიტე. დახმარება ორ ნაცნობს ვთხოვე და მალარიჩიც შეეპირდი. ისინი უყოყმანოდ დამთანხმდნენ.

ლამის ორ საათზე მივადექით ქალის სახლს. კარები პროფესიონალი ქურდებივით გავადეთ და საწოლ ოთახში ფრთხილად შევიპარეთ.

— ბიჭო, რა ლამაზია, ეშმაკს დააბრმავებს! — წარმოთქვა ერთ-ერთმა ჩემმა ამფსონმა, როდესაც საწოლში შეიხედა.

— ამის გულისათვის მართლაც ღირს თავის გაწირვა, — დაუმატა მეორემ. მე ოდნავ დავიხარე და ჩურჩულით ვუპასუხე:

— ბიჭებო, ეგ დედამისია, ქალიშვილი მეორე ოთახში წევს.

რაო, დედამისიაო? — კინალამ იყვირეს მათ და ჩემს სასიდედროს ურცხვად დააშტერდნენ.

— შე სულელო, ამისთანა ლამაზ ქალს მთელ თბილისში ვერ ნახავ, რად გინდა მისი ქეციანი ქალიშვილი, მოდი დედამისი მოვიტაცოთ! — წინადადება შემოიტანა ერთმა.

— გაგიჟდით! — გავეჟიდი მე, — სასიდედრო როგორ მოვიტაცო?

— როგორ და ლამაზად: პირში ცხვირსახოცი ჩაეტენოთ!

— კი მაგრამ, მე ეს ქალი კი არა, მისი ქალიშვილი მიყვარს.

— ვაი შენს პატრონს, მის გოგოს, შე რეგვენო, მაინც არ უყვარხარ.

გაბრუებული ვიდექი და, რა წყალში ჩავვარდნილიყავი, არ ვიცოდი.

— არა! — წამოვიძახე უეცრად, თქვენ დამპირდით იმ გოგოს მოტაცებას, რომელიც მე მიყვარს.

— შე კრეტინო, რა ჯობია, თვითონ სასიდედროს რომ მოიყვან ცოლად? სიდედრი აღარ გიჟოლება და მოისვენებ კაცი!

წინადადება თუმცა ძალზე მომხიბლავად მიჩვენა, მაგრამ მაინც ვერ დამიყოლიეს. ბოლოს გაბრაზდნენ და სულ კინწისკვრით გამომადგეს გარეთ: წამოდი, ხომ ხედავ, თავზე დაგვათენდა, ხაში მაინც გვაჭამეო!

ვახტანგ თალაპაპიძე

1969 წლის თებერვლის ნომერში ჟურნალმა „ნიანგმა“ გამოაქვეყნა კორესპონდენცია, რომელიც ლენტეხის რაიონის სოფელ სასაშის სატელეფონო კავშირის ცუდ მომსახურებას ეხებოდა.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს ელექტროკავშირგაბმულობისა და რადიოფიკაციის დირექციის უფროსმა — ამხ. მ. ედილაშვილმა ოპერატიულად გვაცნობა: (სხვათაშორის, მის მიმართ სასაყვედურო არაფერი არა გვაქვს) „...ამჟამად თუ ადგილობრივი ხელისუფლება სასაშის განყოფილებისათვის გამოყოფს შესაფერის ბინას, რომელსაც ოფიციალურად ჩააბარებს კავშირგაბმულობის ლენტეხის რაიონულ კვანძს, მაშინ დაუყოვნებლივ კავშირგაბმულობის განყოფილებაში დამონტაჟებულ იქნება ათნომრიანი კომუტატორი...“


ჩვენის აზრით, საჭიროზე მეტი დრო გავიდა ამ პასუხის გამოგზავნიდან...

იქნებ, თვითონ სოფ. სასაშის კომმუნურების გამგეობამ, რომელმაც თავისი გაფართოების მიზნით მოუშალა კავშირგაბმულობა სოფელს, გვაცნობოს მიღებული ზომების შესახებ?

ბასული წლის სექტემბერში „ნიანგმა“ გამოაქვეყნა კრიტიკული სტატია — „ფენსაცმელი, რომელშიც ფეხი არ ჩაგვივით“. წერილში აღნიშნულ ფაქტზე აჭარის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი გვაცნობინებს: „...სამინისტროს კოლეგიამ უურნალ „ნიანგში“ მხილებული კრიტიკული შენიშვნები სცნო სწორად და გაატარა საჭირო ღონისძიებანი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის — ქ. ბათუმის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის ფენსაცმელების შემკეთებელი მექანიზირებული საამქროს უფროსი ამხ. ა. ჩახავა განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან... ხოლო ფენსაცმელების ინდუკრვის ატეიეს გამგეს ამხ. ს. მინასიანის მიმართ გაატარა ადმინისტრაციული ზომები“.

მართლაც რომ კონკრეტული ღონისძიებები დაუსახავს სამინისტროს. მხოლოდ ერთში ვერ გავერკვიეთ: კერძოდ, ამხ. ს. მინასიანის მიმართ გატარებულ ადმინისტრაციულ ზომებში რა იგულისხმება?



უურნალ „ნიანგის“ რედაქციის სახელზე თბილისის რესტორნებისა და კაფეების ტრესტის დირექტორმა ამხ. გ. ქარცივაძემ ასეთი წერილი გამოგზავნა: „უურნალ „ნიანგში“ გამოაქვეყნებული სტატიის — „საყვლეფაცხოვრებო თემზე“ გამოცნობებთ, რომ რესტორან „სამადლო“-ში ვაჭრობის წესების დარღვევის გამოვლინების გამო მოხსნილი არიან სამუშაოდან დირექტორი ვ. პ. წერეთელი, დირექტორის მოადგილე ე. ამირანაშვილი, უფრ. ბუღალტერი ს. რამიშვილი და სხვები. აგრეთვე რიგ მუშაკებს დაედოთ მკაცრი ადმინისტრაციული სასჯელი“.



ნ.ხ. მამია მალაზონასი

— ესაც იტყვის, არქიტექტორი ვარო! ჯერ ჩვენი სახლები ნახე, მერე მამისი!

პ ა ი დ ა ხ ლ ი დ ა რ ე ბ ი



„ღეწერბირების“ ბაზარი არ გეგონოს, მკითხველო! თუმცა ეს ქალბატონ-ვაჭარბატონები რაღაცით კი ჰგვანან დეზერტიერებს. საქმე იმაშია, რომ მათ ყურად არ იღეს სახელმწიფოს მიერ დაკანონებული წესდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანის აკრძალვის შესახებ და მოძმე რესპუბლიკების ბაზრები სარფიანი შემოსავლის წყაროდ გაიხადეს. დიახ, ეს ქალაქ კიევის განთქმული საკომლემურნეო ბაზარი „ბესარაბკა“.

— რამ ჩამოგიყვანათ აქ, აღამიანებო? — ჰკითხავთ სოხუმელს, გაგრელს, ახალ ათონელს...

— თვითმფრინავმა, ბატონო!

— მერე და, საქართველოში მანდარინს არ ჰამენ?

— ვინ ჰამს მაგას! იქ კილოს სამ მანეთად ვაძლევთ და არ მიაქვთ, აქ კი ხუთ მანეთად გვეხვეწებიან და ჩვენ ექვს მანეთს ფეხს არ ვუცვლით. ესეც რომ არ იყოს, კიეველებს ხილის ჰამა არ უნდათ? ჰოდა, ჩვენც ვაქმევთ...

— კიეველებს ხილს აჭმევთ და ჩვენ სირცხვილს, ხომ? კანონს რა პალუს აძლევთ მერე?

— კანონს ჩვენთან რა ხელი აქვს. კანონის გარეშეც კარგად ვგრძნობთ თავს!

როცა გაგრაში, ლაკობას ქუჩის პირველი შესახვევის № 6 ბინაში მცხოვრებმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ხურცილავამ ფოტოაპარატს მოჰკრა თვალი, სახე გაეზადრა:

— გეტყობათ, ქართველები ხართ, ბიჭებო! მშურად, ხეირიანი სურათი დამიშაღდეთ და ვალში არ დაგრჩებით. ისე; მაინც, რისთვის გნებავთ ჩემი პორტრეტი?

— „ნიანგისათვის“.

ნიკოლოზს სახე დადერიჯა. ჩვენი ჟურნალისათვის სახელდარჩევი ნიკოლოზი ჯობდა, მაგრამ მან ქუდი ჩამოიფხატა სახეზე...

პაიწარ გრიგორის ასული ოვანია, გაგრაში, კოსმონავტების ქ. № 3 ბინაში ცხოვრობს. იგი ერთობ გულგრილი აღმოჩნდა ფოტოაპარატის მიმართ. ხელში ერთი ცალი მანდარინი ჩადო და ოქროს მონეტებით აწონებდა მას მყიდველს. პაიწარას 382 კილოგრამი მანდარინი აღმოაჩნდა.

გაგრის რაიონის სოფელ მერხეულას მცხოვრები სიბატ ოვაგიშაყის ძე მარქარიანი (სურათი პირველი) ფოტოაპარატის გაჩხუქუნებამ ისე დააფრთხო, თითქოს თოფი ესროლოთ მისთვის.

— რამ შეგაშინა, ბიჭო?

— ნუ გადამიღებთ, თქვენი ჰირიმე! სურათში ცუდად გამოვიღეარ! — იყვირა მან.

მომდევნო სურათები ასე იშიფრება (სურათი მეორე): ნერსეს გევორქას ძე აშალიანი — გაგრის რაიონი, სოფელი ალბიშკა. (სურათი მესამე): ერანკ გრანტის ასული ჩუვარჯიანი — გაგრა, კოსმონავტების შესახვევი № 5. (სურათი მეოთხე): კარლენ სურენის ძე არაქელიანი — სოხუმის რაიონი, სოფელი გუმისთა.

მეხუთე სურათზე აღბეჭდილია ბაზრის შემნახველი საკანი. ყუთები სავსეა მანდარინით, რომლის გაყიდვა ვეღარ მოასწრეს.

რადგან ჟურნალი ბაზარი არ არის, ყველა სურათის ჩამომწკრივება არ ხერხდება, ამიტომ ვთავაზობთ იმ პირთა გვარებს, რომლებსაც წილად ხელად ჩვენი რეპორტაჟის გმირები გამხდარიყვნენ:

სურენ სურენის ძე უსტანი — სოხუმის რაიონი, სოფელი გუმისთა. ჩამოერთვა 1089 კილოგრამი მანდარინი.

შალვა ვიქტორის ძე ჯოჯუა — გაგრის რაიონი, სოფელი სიხარული: 862 კგ.

ლევან წუნის ძე მინასიანი — სოხუმის რაიონი, სოფელი გუმისთა: 590 კგ.

სედრაკ არუთინის ძე ავეტისიანი — სოხუმის რაიონი, სოფელი გუმისთა: 581 კგ.

გიორგი ვიქტორის ძე ხარგელია — გაგრის რაიონი, სოფელი სიხარული: 551 კგ.

ბავაქან ოვსების ასული ჩაკირიანი — ახალი ათონი, ლაკობას ქ. № 17: 420 კგ.

სირვანტ ჰაიკას ასული მარქარიანი — გაგრის რაიონი, სოფელი კოლხილა: 368 კგ.

ჯაურ სამსონის ძე ჭეჭელავა — გაგრა, ბარათაშვილის ქ. № 107: 300 კგ.

...რეიდის ჭგუფის ხელმძღვანელს თბილისში ახლო მეგობარი შეხვდა და, როგორ ხარო, ჰკითხა.

— კარგად, — უპასუხა მან, — ახელმწიფოს მტონა და 650 კილოგრამი მანდარინი ჩავაბარე!


— როგორ? — გაოცდა ნაცნობი, — შენ რა, მეურნეობაში დაიწყე მუშაობა?

— არა, კიევის ბაზარში, — დიმილით მიუგო მოპასუხემ.

— თავს ხომ არ გვჭირ, მანდარინს ხომ არ ყიდი, ბიჭო?!

— ნეტავ, სხვენიც არ გვჭირდნენ თავს! — თქვა რეიდის ხელმძღვანელმა და ამჯერად ნარკოვისაკენ გასწია კოლეგებითურთ.

ბაიოზ შავირაშვილი



მთავარი რედაქტორი ნოდარ ლუმაბაძე

სარედაქციო კოლეგია:
 ზ. გოლჭვაძე (პ/მგ. მდივანი),
 ს. კლდიაშვილი,
 ნ. მაღალაშვილი,
 გ. ნიშნიანიძე (მთავ. რედ. მოადგილე),
 ნ. შველიძე,
 ო. ჭილიძე.

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“.

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42.
 Тбилиси, Сатирико-юмористический журнал «Нианги».
 ტელ. რედაქტორის 99-76-69, რედ. მოადგილის 93-49-32.
 საერთო განყოფილების 93-10-78.

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობა. ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

გადაეცა ასაწყობად 12/II-70 წ.
 ხელმოწერილია დასაბამად 11/III-70 წ.
 ძალადის ზომა 70x108/8.
 ფინიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,
 პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 1,4.
 საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა,
 თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА ЦК КП ГРУЗИИ
 ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИНА № 14
 შპპ. № 476.
 უი № 01982.
 ბირაჟი 123.700.



